ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
(გაერთიანებული ქონების მართვისა და საფინანსო–საბიუჯეტო კომისიასთან)
სხდომის ოქმი
№–75

ქ. თბილისი; 25 დეკემბერი 2020 წ. 12:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ალექსანდრე ხუჯაძე
გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე
ნინო რუხაძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი – **გაიოზ თალაკვაძე**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მოისმინეს:

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის **საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ** გაერთიანებული კომისიების სხდომაზე დასმწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის მთლიანი მოცულობა განისაზღვრა - 1 050 302,5 ათასი ლარით, რაც 2021 წლის თავდაპირველად წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტთან შედარებით გაზრდილია 210 000,0 ათასი ლარით, ამასთან, **ყურადღება გაამახვილა, დედაქალაქისათვის პრიორიტეტულ მიმართულებებად განსაზღვრულ ღონისძიებებზე:**

- **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა** 174 263,8 ათასი ლარით, რაც პირველად წარმოდგენილ პროექტთან (72 223.2 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 102 040,6 ათასი ლარით. პრიორიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთების პროგრამისათვის გათვალისწინებულია 83 908,3 ათასი ლარი, მათ შორის, რაიონების გზების მოვლა-შეკეთების ქვეპროგრამებისთვის ჯამში - 49 578,3 ათასი ლარი;
- **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებისათვის** - 22 655,5 ათასი ლარი;
- **საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია** - 18 000,0 ათასი ლარი;
- **საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია - 50 000,0 ათასი ლარი** (მათ შორის: რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების სრულყოფილი ფუნქციონირების ხარჯები).
- **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება** 194 636,5 ათასი ლარით, რაც პირველად წარმოდგენილ პროექტთან (140 088,3 ათსი ლარი) შედარებით გაზრდილია 54 548,2 ათასი ლარით;
- **ქალაქის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში** (56 719,9 ათასი ლარი) გაგრძელდება უკვე დაწყებული პროექტების დაფინანსება, როგორიცაა ისტორიულ-კულტურული ძეგლების, სადარბაზოებისა, მუზეუმების და სხვა შენობების რეაბილიტაცია. ასევე, პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა **ავარიული შენობების გამაგრება** 10 000,0 ათასი ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სავარაუდოდ 22 შენობის გამაგრება;
- **საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია** (24 148,4 ათასი ლარი), მათ შორის გრძელდება შეშელიძის ქუჩის მიმდებარედ დამეწყრილი უბნის საყრდენი კედლის გამაგრების მშენებლობის სამუშაოები, კახეთის გზატკეცილის მე-12 კმ-ის გადასახვევზე მდებარე გზაგამტარის სარეაბილიტაციო სამუშაოები უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი ხიდური

გადასასვლელის მოწყობის სამუშაოების და პარკში „მზიური“ მდებარე საბაგირო გზის სადგურის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოების დაწყება,

- **პროგრამა - გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (23 207,7 ათასი ლარი),** რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია თბილისის მასშტაბით გარე ქსელის განვითარება 3 207,7 ათასი ლარის ოდენობით.ქვეპროგრამისათვის - **კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში** გათვალისწინებულია 51 759.6 ათასი ლარი.

გაიოზ თალაკვაძემ ისაუბრა აგრეთვე, პრიორიტეტად განსაზღვრულ სხვა მიმართულებებზე და მიუთითა, რომ ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესებისათვის განისაზღვრა 148 944,1 ათასი ლარი, რაც პირველად წარმოდგენილ პროექტთან შედარებით გაზრდილია 42 725,7 ათასი ლარით, ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისათვის განსაზღვრულია – 4 164,4 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება, რომელიც წინა წლის გეგმასთან შედარებით გაზრდილია და განისაზღვრა-39 157,3 ათასი ლარით, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – განისაზღვრა 154 136,0 ათასი ლარით, ჯანდაცვის პროგრამისათვის განსაზღვრულია 20 019,3 ათასი ლარი;

მომხსენებელმა დეტალურად აღწერა სოციალური დაცვის პროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ოდენობა – 134 116,7 ათასი ლარის სახით და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები: სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, სასახლეში, ხელოვნების სკოლებში, სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, საკურორტო მომსახურება და დახმარება, საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით მეტროთი რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურება, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში, უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები რაიონებში და სხვა.

მომხსენებელმა ასევე აღწერა, სხვა ისეთი დაგეგმილი ღონისძიებები, რომელთა საბიუჯეტო ასიგნებები ასევე გაზრდილია პირველად წარმოდგენილ პროექტთან შედარებით, კერძოდ:

- უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში - 1 719,1 ათასი ლარით და განისაზღვრა 20 194,5 ათასი ლარის ოდენობით (უზრუნველყოფილი იქნება უფასო კვებით თბილისის რაიონებში მომლოდინე სიებში არსებული მოქალაქეები;
- **განათლება** განისაზღვრა – 175 094,0 ათასი ლარით, პირველად წარმოდგენილ პროექტთან შედარებით გაზრდილია 12 175,0 ათასი ლარით;
- **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა** 47 355,8 ათასი ლარით, რაც პირველად წარმოდგენილ პროექტთან (38 814,5 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 8 541,3 ათასი ლარით;

გაიოზ თალაკვაძემ, მოხსენების დასკვნით ფაზაში, ისაუბრა, ქალაქ თბილისის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებსათვის განსაზღვრულ საბიუჯეტო ასიგნებებზე, რაც შეადგენს – 108 148,4 ათასი ლარს, ამასთან, ყურადღება გაამახვილა, შედეგზე:

- სარეზერვო ფონდისათვის გამოყოფილ იქნა 2 500,0 ათასი ლარი;
- წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიათვის განსაზღვრულია - 2 000,0 ათასი ლარი;
- თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება - 16 444,4 ათასი ლარი;
- თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება 614,2 ათასი ლარი;
- თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა - 3 200,0 ათასი ლარი; თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება - 3 000,0 ათასი ლარი.

გაიოზ თალაკვაძემ მოხსენების მიწურულს აღნიშნა, რომ 2019 წლიდან ქალაქის ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახულ იქნა გენდერულად ორიენტირებული მუნიციპალური ბიუჯეტის ფორმირება, რამაც ხელი შეუწყო გენდერული საკითხების ინტეგრირებას ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში გამოყენებულია თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების მექანიზმი, რომელიც გულისხმობს საბიუჯეტო პროცესში გენდერული ასპექტების ჩართვას. ამასთან, დასძინა, რომ ბიუჯეტის პროექტი ასახავს ბავშვთა უფლებების შესახებ არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს, შესაბამის პასუხისმგებელ საბიუჯეტო ორგანიზაციის პროგრამულ კოდში.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, ბიუჯეტის პროექტში დაემატოს შესაბამისი მუხლი, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N51-104 დადგენილება.

კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა შეაფასეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტით გათვალისწინებული პრიორიტეტული მიმართულებები და ისაუბრეს დედაქალაქისათვის რაიონული მასშტაბებით არსებულ მნიშვნელოვან გამოწვევებზე, ამასთან, ხაზი გაუსვეს კონკრეტულ საჭირო საბიუჯეტო რესურსებს შესაბამისი ღონისძიებებისათვის.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის **საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ** გაერთიანებული კომისიების სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი,წარმოადგინა, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

გაიოზ თალაკვაძემ ასევე დეტალურად გააცნო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს პროექტით წარმოდგენილი საკითხი და მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით, რომლის თანახმად იზრდება შემოსავლების ნაწილში გადასახადები - 11 000,0 ათასი ლარით, სპეციალური ტრანსფერი - 30 000,0 ათასი ლარით, სხვა შემოსავლების ნაწილში იზრდება პროცენტები - 7 000,0 ათასი ლარით, შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან - 1 462,0 ათასი ლარით, ხოლო მცირდება სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 48 000,0 ათასი ლარით და შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან - 1 462,0 ათასი ლარით. შესაბამისად, ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 1 121 648,1 ათას ლარს.

მომხსენებელმა განმარტა, რომ პროექტში გათვალისწინებულია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები, რაც ხორციელდება მიმდინარე პერიოდში ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებისა და სხვადასხვა პროგრამებში/ქვეპროგრამებში ღონისძიებების ღირებულების დაზუსტებით გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე. მოძიებული რესურსების გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის, **იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:**

- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია; ქალაქის განვითარების ხელშეწყობა; ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა; გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი; სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა; სპორტული ღონისძიებები; ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა; თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება; ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა; მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური; ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური;

მომხსენებელმა ასევე მიუთითა, ისეთი მიმართულებები, რომელთა საბიუჯეტო ასიგნებები მცირდება, მათ, შორის: გზების შეკეთების ქვეპროგრამების შესაბამის რაიონებში, ღონისძიებების უზუნველყოფა, კეთილმოწყობის ღონისძიებები შესაბამის რაიონებში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა შესაბამის რაიონებში; უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა; სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა; შემოქმედებითი თბილისი; მერიის ადმინისტრაცია; საფინანსო საქალაქო სამსახური; ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური; მუნიციპალური ინსპექცია; შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო

სამსახური; ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური იურიდიული საქალაქო სამსახური (კოდი 10 12) – 65,0 ათასი ლარი;

გაიოზ თალაკვაძემ ასევე მიუთითა რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 901 868,1 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 219 780,0 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 853 437,4 ათასი ლარის ოდენობით, ამასთან, ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 121 648,1 ათასი ლარით;

მომხსენებელმა დაამატა, რომ დადგენილების პროექტი დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში, მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ამასთან, დადგენილების პროექტის მე-2 მუხლში ნაცვლად მითითებულისა: „ამ დადგენილებით დამტკიცებული დანართი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.“, მიეთითოს „დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე“.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ლევან ჟორჟოლიანი**

სხდომის მდივანი **თამთა კაკოიშვილი**